ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ირინე კოპალიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, მოქალაქე ირინე კოპალიანისათვის (პირადი №60002013877) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი და გრიშაშვილის ქუჩას შორის ყოფილ კინო-თეატრ „ქრონიკას“ დასავლეთით (ნაკვეთი №2) მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.24.466; ფართობი: 50.00), 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც შეადგენს 2 500.00 (ორიათასხუთასი) ლარს.

მუხლი 3. მოქალაქე ირინე კოპალიანს (პირადი №60002013877) უფლება აქვს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.24.466; ფართობი: 50.00) ნაწილზე (არაუმეტეს 25.00 კვ.მ) განათავსოს მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მუხლი 4. მოქალაქე ირინე კოპალიანი (პირადი №60002013877) ვალდებულია მოახდინოს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი და გრიშაშვილის ქუჩას შორის ყოფილ კინო-თეატრ „ქრონიკას“ დასავლეთით (ნაკვეთი №2) მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.24.466; სკვერი) თავისუფალი ნაწილის განაშენიანება, კეთილმოწყობა (მწვანე ნარგავების განახლება, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მოვლა-პატრონობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ირინე კოპალიანისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე ირინე კოპალიანის (პირადი №60002013877) განცხადება (18.07.2022 წ. N10/4422199310-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი და გრიშაშვილის ქუჩას შორის ყოფილ კინო-თეატრ „ქრონიკას" დასავლეთით (ნაკვეთი №2) მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.24.466; ფართობი: 50.00), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს სკვერი მდებარე რუსთაველის გამზირი და გრიშაშვილის ქუჩას შორის ყოფილ კინო-თეატრ „ქრონიკას" დასავლეთით (ფართობი: 821.0 კვ.მ.; საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.24.466). მიზანშეწონილია უძრავი ქონება გაცემული იქნას სარგებლობაში, 5 (ხუთი) წლის ვადით. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც შეადგენს 2 500.00 (ორიათასხუთასი) ლარს.

მოქალაქე ირინე კოპალიანს (პირადი №60002013877) უფლება აქვს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.24.466; ფართობი: 50.00) ნაწილზე (არაუმეტეს 25.00 კვ.მ) განათავსოს მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

მოქალაქე ირინე კოპალიანი (პირადი №60002013877) ვალდებულია მოახდინოს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირი და გრიშაშვილის ქუჩას შორის ყოფილ კინო-თეატრ „ქრონიკას" დასავლეთით (ნაკვეთი №2) მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერის №03.04.24.466; სკვერი) თავისუფალი ნაწილის განაშენიანება, კეთილმოწყობა (მწვანე ნარგავების განახლება, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მოვლა-პატრონობა ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ქალაქ „ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ირინე კოპალიანისათვის (პირადი №60002013877) სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი